12 აგვისტო ფიზკულტურელის საკავშირო დღეა
დღესასწაულს გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 157 (6212)

12 აგვისტო, შაბათი, 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და კრებულიური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„სოციალიზმის პირობებში არაფერი არ ფასობს ისე ძვირად, როგორც ადამიანი, მისი ჯანმრთელობა, მისი კეთილდღეობა, ფიზიკური წრთობა“.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების მასალებიდან.

...ლმა, სპორტული მნეველვალეგისაკენ

...55 ათასიდან 55 მილიონამდე სპორტსმენი — ასეთია 61 წლის გა...ლობაში საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მიერ გავლილი გზა.

საბჭოთა კავშირში მარტო ოლიმპიურ სახეობებში 40 მილიონი ...ორტსმენი ვარჯიშობს. ყველაზე მეტად პოპულარულია მძლეოსნობა (...2 მილიონი), ფრენბურთი (5,2), თხილამურები (4,1), ფეხბურთი (...9), კალათბურთი (3,4), ტყვიის სროლა (3,0). სულ სსრ კავშირში და...ულია სპორტის 75 სახეობა (ეროვნული სახეობების ჩაუთვლელად).

საბჭოთა სპორტულ მოძრაობას მასობრიობის მხრივ ბადალი არ ...ოს მსოფლიოში. ჩვენი ქვეყნის საწარმოებში, დაწესებულებებში, ...ნავლებლებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 220 ...ასი ფიზკულტურის კოლექტივია.

საბჭოთა კავშირში 3284 სტადიონი, 66356 სპორტული დარბაზი, ...33 აუზი და სპორტის სათამაშო სახეობებისთვის 600 ათასზე მეტი ...ედანი.

ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური აღზრდისთვის 1977 წელს ...ელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 12,5 მილიარდი მანეთი. ...ოფაკავშირები ყოველწლიურად 500 მილიონ მანეთზე მეტს ახანდ...ენ ამ საქმისთვის.

ბოლო ხუთწლედში მშდ-ის ნიშნოსანი გახდა ქვეყნის 100 მილიონ...ე მეტი მცხოვრები. გვყავს 8 ათასი მშდ კომპლექსის ინსტრუქტორი.

ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს 556802 მწვრთნელი და ...3,5 ათასი ფიზკულტურის მასწავლებელი ამეცადინებს. 6 მილიონზე ...ეტი მწვრთნელი და ინსტრუქტორი საზოგადოებრივ საწყისებზე მუ...ობს.

სპორტის სპეციალისტებს ამზადებს 24 ინსტიტუტი, 26 ტექნიკუმი, ...ედაგოგიური ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების 89 ფაკულტეტი, ...7 ფიზიკური აღზრდის პედაგოგიური სასწავლებელი.

საბჭოთა სპორტსმენებმა ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოსა და ევ...ის ჩემპიონატებზე 3 ათასზე მეტი medali მოიპოვეს. ერთი ...ოროს ჯილდო დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე და ...ეშემდეგ — ასეთია რევოლუციამდელი რუსეთისა და სსრ კავშირის ...ლეტთა მიერ ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებულ უმაღლესი ღირსე...ის medalთა შეფარდება.

...ბარეულ მსოფლიო ჩემპიონატებში საბჭოთა სპორტსმენებმა 48 ოქ...ის, 41 ვერცხლისა და 20 ბრინჯაოს medali მოიპოვეს. დამყარდა 163 ...ავშირო რეკორდი, რომელთაგან 53 აღემატება მსოფლიო მიდწევას. (...ასრულება).

ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი

დავით პერტენავა,
საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე

დღეს ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მრავალმილიონიანი არმია ზეიმით აღნიშნავს თავის დღესასწაულს — ფიზკულტურელის საკავშირო დღეს. ათასობით გოგო-ბიჭები, ქალიშვილები და ჭაბუკები აავსებენ სტადიონებსა და დარბაზებს, სპორტულ მოედნებსა და საცურაო აუზებს, რათა საინტერესო და მრავალფეროვან შეჯიბრებებში მიიღონ მონაწილეობა, კიდევ ერთხელ ეზიარონ ფიზკულტურასა და სპორტს, გამოსცადონ მკლავისა და მუხლის ძალა, გაილაღონ სული და სხეული.

მარადიული სიჭაბუკის, სიმხნევისა და სიჯანსაღის ყოველ დღესასწაულს დროის დაშლა აზის და განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით გამოირჩევა. ამ მხრივ დღევანდელი ზეიმი მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. იგი ტარდება არნახული პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, როცა საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში მტკიცედ მკვიდრდება და ღრმა ფესვებს იდგამს ახალი კონსტიტუცია, განვითარებული, მომწიფებული სოციალიზმის კონსტიტუცია. საბჭოთა ხალხების ეს დიადი ქარტია, რომელიც ნათლად და მკაფიოდ ასახავს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მომხდარ ცვლილებებს, განუზომლად მნიშვნელოვანია საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობისთვის. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში, ისევე როგორც საქართველოს სსრ კონსტიტუციაში, პირველადაა ფიქსირებული, რომ სახელმწიფო ზრუნავს მასობრივი ფიზკულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარებისათვის. ის ფაქტი, რომ ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარება კონსტიტუციური კანონმდებლობითაა განმტკიცებული, ახალი გაზრდილი ამოცანების წინაშე აყენებს რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს, თითოეულ ფიზკულტურულ მუშაკს, ფიზკულტურელსა და სპორტსმენს.

ფიზკულტურული მოძრაობის აღმავლობისთვის პარტიისა და მთავრობის ასეთი მამობრივი ზრუნვა საკვანძო ბუნებრივი და კანონზომიერია. ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემა თავისი პირველი ნაბიჯებიდანვე დამკვიდრდა, როგორც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე და თანდათან სოციალური პროგრესის მძლავრ იარაღად გადაიქცა. ფიზიკური კულტურისა და სპორტის ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრების პროცესი უზსოვარ დროში იღებს სათავეს, მაგრამ როცა საბჭოთა ქვეყნის, ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების წარმატებებს ვებებით, როცა ფიზკულტურისა და სპორტის საერთო-სახალხო ხასიათზე ვლაპარაკობთ, ყოველივე ამას ვუკავშირებთ დიად ოქტომბერს, ისევე, როგორც ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მონაპოვრებს.

დიახ, სწორედ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიაღწია ფიზკულტურამ და სპორტმა მძლავრ აღმავლობას. ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის დღიდან ანცვიფრებენ სამყაროს შთამბეჭდავი გამარჯვებებით, მაღალი სპორტული შედეგებით, ტალანტების სიმრავლით. დღეს ჩვენი ფიზკულტურელები და სპორტსმენები უპატაკებენ კოშუნისტურ პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს თავიანთი წარმატებების შესახებ, რომელიც მოიპოვეს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებსა და სხვა საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებებში.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს ყოველთვის შეჰქონდათ და შეაქვთ მნიშვნელოვანი წვლილი საბჭოთა ქვეყნის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში. სულ უფრო ხშირად მოდის ქართველ სპორტსმენთა გამარჯვებების მაუწყებელი სასიხარულო ცნობები ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ქალაქებიდან. თბილისელმა ვ. ბლაგიძემ პირველად მოიპოვა ევროპის ჩემპიონის წოდება კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შორის. კვლავ გაგვახარა ჩვენმა სახელოვანმა ფალავანმა ლ. თედიაშვილმა. მან წლეულს მეორედ დაისაკუთრა ევროპის ჩემპიონის ოქროს medali. საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ მოკრივე ა. ხიზანიშვილი, ძიუდოისტები თ. ნამგალაური და ბ. გოგიჩაშვილი. ჩვენმა სპორტსმენებმა ახალგაზრდულ შეჯიბრებებშიც ისახელეს თავი. საბჭოთა კავშირის ჭაბუკ წყალბურთელთა გუნდთან ერთად ევროპის ჩემპიონები გახდნენ მ. გიორგაძე და გ. ტუკვაძე. რუსთაველი ნიჩბოსნები ი. ეფიმოვა და ვ. კიაივერიანენი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ გოგონათა შორის, წყალში მხტომელმა ს. შალიბაშვილმა კი ფლორენციაში გამართულ ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატში ვერცხლის medali მოიპოვა, თბილისელმა შუბის მტყორცნელმა ს. გუნბამ ყველას აჯობა იუნიორთა საკავშირო პირველობაში, თან საქართველოს რეკორდიც დაამყარა (58.26 მ). ქებით უნდა მოვიხსენიოთ ჩვენი ხელბურთელები, რომლებმაც საბჭოთა კავშირის თასის მოპოვებით კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი ჩაწერეს ქართული სპორტის ისტორიაში. გვახარებს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებისა და რკინიგზელი რეგბისტების წარმატებები საბჭოთა კავშირის მიმდინარე ჩემპიონატებში.

ამ დღეებში ჩოგბურთის მოყვარულები ახალი გამარჯვებით გაახარა ა. მეტრეველმა. მან მეექვსედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული. მეორე ადგილზეც ჩვენი თანამემამულე თ. კაკულია გავიდა. საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად სასტენდო სროლაში კონტინენტის ჩემპიონი გახდა თბილისელი თ. იმნაიშვილი. შემდეგ კი საბჭოთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში თ. იმნაიშვილთან ერთად მეორე თბილისელი სპორტსმენი თ. მატოიანიც იყო, ევროპის თასიც დაისაკუთრა.

რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის ივნისის დადგენილებამ „საქართველოს სპორტკომიტეტის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“. აგრეთვე, რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრებამ, რომელმაც ძირფესვიანად გააანალიზა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხები და ამ დარგში მოპოვებულ წარმატებებთან ერთად, საუკეთესოზე გამოიტანა ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი.

აქტივის კრებიდან ერთ წელიწადზე მეტი გავიდა. ამ ხნის მანძილზე ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდა რესპუბლიკაში: ახალი ენერგიით შეუდგნენ საქმიანობას სპორტსაზოგადოებები, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სპორტკომიტეტები; ორგანიზაციულად და მატერიალურად განმტკიცდა ფიზკულტურის კოლექტივები, მეტი ყურადღება მიექცა მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვას, მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდასა და

(დასასრული მე-3 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი — მშვიდობისა და მეგობრობის დესპანი

„სსრ კავშირი უჭერდა და უჭერს მხარს თანამედროვე ოლიმპიურ მოძრაობას. ახლა საბჭოთა ადამიანები 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადისთვის ემზადებიან და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მან მაღალ დონეზე ჩაიაროს და ახალი იმპულსი მიანიჭოს მეგობრობისა და მშვიდობის კეთილშობილურ იდეებს".

ლ. ი. ბრეჟნევი.





მოსკოვი ემზადება

1980 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის გაცხოველებით ემზადება ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი მოსკოვი. სპორტულ ბაზებს, სასტუმროებს, ტელერადიოცენტრს დღეს აქ აშენებენ არა მარტო მოსკოველები, არამედ მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლები და მათ შორის საქართველოს ახალგაზრდები.

მოსკოვის იზმაილოვოს რაიონში შენდება ჩვენს ქვეყანაში უდიდესი სასტუმროთა კომპლექსი. აქ ოლიმპიადის დღეებში ერთდროულად ათიათასი ტურისტი იცხოვრებს (სურათზე მარცხნივ), მოსკოვის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში მოეწყო გამოფენა, რომელზეც დედაქალაქის მხატვრული გაფორმების პროექტები იყო წარმოდგენილი. ეს სურათი (მარჯვნივ) გვაცნობს, თუ როგორი იქნება ოლიმპიადის დღეებში „ლენინსკიე გორის" რაიონი.

საქდესის ფოტოქრონიკა.

ხუთი რგოლის ემბლემით...

მოსკოვის ოლიმპიადის გახსნამდე ორ წელიწადზე ნაკლები დრო დარჩა, უფრო ზუსტად კი — 708 დღე...

მკითხველებს ვთავაზობთ ახალ რუბრიკას „ხუთი რგოლის ემბლემით", რომელშიც პერიოდულად დავბეჭდავთ XXII ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილ მასალებს.

ჟურნალის ახალი ნომერი

გამოვიდა აიპს-ის (სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაცია) 1978 წლის მეორე ნომერი, რომელიც ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ და ესპანურ ენებზე ისტამბება. ჟურნალში გაეცნობით „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვისა და ინფორმაციის განყოფილების უფროსის ა. სტაროდუბის სტატიას, რომელშიც მოთხრობილია მოსკოვის ოლიმპიადაზე აკრედიტებულ ჟურნალისტთა მიღების, მთავარი პრეს-ცენტრის მშენებლობის თაობაზე. აქვე დაბეჭდილია ინფორმაციები აიპს-ის მინი-კონგრესის, ახალი მოწმობებისა და ფოტოკონკურსის შესახებ, გაეცნობით მასალას „ჩოგბურთი-სპორტული ჟურნალისტებისთვის", შეჯიბრებათა კალენდარს და სხვ.

ოლიმპიური სალაპარაკო

მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება გამომცემლობა „რუსკი იაზიკ", რომლის 1978-1980 წლების გეგმებში გათვალისწინებულია მთელი რიგი სპორტული ლექსიკონები და სალაპარაკო. ხუთ ენაზე გამოვა 22-წიგნიანი სერია ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შემავალ სპორტის ყველა სახეობაში.

საინტერესო იქნება აგრეთვე, სპორტული ლექსიკონი-სალაპარაკო 8 ენაზე, ჯიბის ფორმატით დასტამბული ილუსტრირებული სპორტული ლექსიკონი და სხვა. საინტერესოა, რომ ყველა ამ გამოცემას მიეკუთვნა „ოლიმპიადა-80"-ის დიპლომი.

ტელე და რადიოსტუდიებისთვის

უნგრეთის ელექტროაკუსტიკური აპარატურის ქარხანა „ბეაგი" მოსკოვის ოლიმპიადისთვის ამზადებს მოწყობილობას ტელე და რადიოსტუდიებისთვის, აგრეთვე საკომენტატორო სისტემას რეპორტაჟებისთვის. „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტმა უნგრეთის საწარმოს მიანიჭა მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ოფიციალური მომმარაგებლის წოდება.

ფიზკულტურელის დღე — ჩვენი საერთო-სახალხო დღესასწაულია. ვის არ უყვარს სპორტი? იგი ერთგული დამხმარეა სწავლასა და შრომაში.

ფიზკულტურელის დღის წინ საქდესის სპორტულ ინფორმაციათა რედაქციამ ჩემპიონებს, ყოფილ სპორტსმენებს, ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის წარმომადგენელ მუშას და პოპულარულ მსახიობს სთხოვა რამდენიმე სიტყვა ეთქვა სპორტზე.

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი სამხტომში ვიქტორ სანეევი:

„ამ დღეებში ვამთავრებთ მზადებას პრაღის ევროპის ჩემპიონატისთვის, სადაც პირადად მე მომიწევს წინა პირველობის გამარჯვებულის წოდების დაცვა. ჩემთან ერთად პრაღაში გამოვა გ. ვალიუკევიჩი, რომლისთვისაც ეს კონტინენტის პირველი ჩემპიონატია. ბავშვთა სპორტული სკოლის აღზრდილმა, 19 წლის ჭაბუკმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატობას მიაღწია — 17 მეტრს იქით გადახტა. ეს ერთი მაგალითია იმისა თუ რა მდიდარია ტალანტებით ჩვენი მრავალეროვნული სპორტი.

რაც შეეხება ახალი ძალების მოზღვავებას, კერძოდ მძლეოსნურ გუნდში, ეს აუცილებელია — მოსკოვის ოლიმპიადა კარზე მოგვადგა. მინდა მოვუწოდო ახალგაზრდა სპორტსმენებს: არ არსებობს დაუპყრობელი მწვერვალი, ივარჯიშეთ ძალების დაუზოგავად, იყავით გაბედული და წარმატებაც მოვა.

ვიმედოვნებ, რომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის სტარტები, მისი ფინალები ახალ სპორტულ ტალანტებს, ახალ ოლიმპიელებს დაასახელებს.

ხშირად მეკითხებიან, მოვიპოვებ თუ არა ოლიმპიურ ჩემპიონობას მეოთხედ? ვიცი, რომ ეს ძნელი საქმეა, შესაძლოა შეუძლებელიც, მაგრამ ვიბრძოლებ ბოლომდე".

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მოტოკროსში გენადი მოისეევი:

„თანაგუნდელებთან ერთად ფიზკულტურელის დღეს შევხვდებით შვეციაში, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის მე-10 ეტაპისთვის სამზადისში ვიქნებით, ხოლო 13 აგვისტოს გვექნება სტარტი. ვეცდებით გავახაროთ საბჭოთა მოყვარულები, რაც შეიძლება წარმატებით ვიასპარეზოთ.

პირადად მე ვეცდები გავაკეთო ყველაფერი, რათა მესამედ მოვიპოვო მსოფლიო ჩემპიონის წოდება, მით უმეტეს, რომ ბოლო ეტაპი ჩემი თანამემამულეების — ლენინგრადელების თვალწინ გაივლის.

სამწუხაროა, რომ სპორტის ჩვენი სახეობა ოლიმპიურ პროგრამაში არ შედის. რა გაეწყობა, ვიქნები იმათი გულშემატკივარი, ვინც მოიპოვებს საპატიო უფლებას ჩვენი ქვეყნის სახელით იასპარეზოს მოსკოვის ოლიმპიადაზე".

საერთო დღესასწაულ

ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიო და სსრ კავშირის ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებული, მოფარიკავე ვალენტინა რასტვოროვა:

„ფიზკულტურელის დღე — გადაუჭარბებლად რომ ვთქვა, მთელი ჩვენი ოჯახის დღესასწაულია. ბევრი წელი დავუთმეთ სპორტს მე და ჩემმა მეუღლემ ბორის გრიშინმა — წარსულში ქვეყნის წყალბურთელთა ნაკრების (რომელიც არაერთგზის ასულა დიდ საერთაშორისო შეჯიბრების და სსრ კავშირის ჩემპიონატებში საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე) წევრმა.

გვიხარია, რომ შევძელით შვილებისთვის შეგვეყვარებინა სპორტი. ვაჟიშვილი ევგენი მამის კვალს გაჰყვა: მცველად თამაშობს მოსკოვის „დინამოს" წყალბურთელთა გუნდში და წლეულს ჩარიცხეს სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში. ქალიშვილი, 9 წლის ლენა, ჩემდა გასახარად, პირველ ნაბიჯებს ადგამს საფარიკაო ბილიკებზე".

მოსკოვის საავტომობილო ქარხანა ზილ-ის საამწყობო კორპუსის უბნის ოსტატი, მესამე ხარისხის შრომითი დიდების ორდენის კავალერი იური მირონოვი:

„ყოველ მუშას — მშდ-ის ოქროს სამკერდე ნიშანი" — ასეთი ვ... დებულება ავიღეთ ჩვენი უ... მუშებმა. ვიმედოვნებ, ნაკისრ ... ლდებულებას სსრ კავშირის ხა... თა VII სპარტაკიადის ფინალ... სტარტებისთვის შევასრულ... ქარხნის მთავარი კონვეიერის ... ასკ-ის კოლექტივი ახალგაზრ... ლია. ჩვენი კორპუსი მხოლოდ ... მი წელიწადია არსებობს, მა... ბევრი შრომითი წარმატებები ... ვიპოვეთ, რაშიც დიდად გვეხმ... ბა ფიზკულტურა და სპორტი. ... ის სპორტსმენები საქარხნო ... რტაკიადების მრავალგზის გა... ვებულები არიან სპორტის ... დასხვა სახეობაში. წლეულს, ... ლისში ჩვენმა ავტომრბოლე... მა I ადგილი დაიკავეს დე... ლაქის პირველობაში. წარმატ... ორმაგად სასიამოვნოა: ისინი ... თავიანთი ხელით აწყობილ ... 131 მანქანით ასპარეზობდნენ".

სოციალისტური შრომის გ... სსრ კავშირის სახალხო არტ... იგორ ილინსკი:

„მთელი ცხოვრების მან... მივდევდი ფიზკულტურას ... სპორტს. თავის დროზე გა... ული ვიყავი ნიჩბოსნობით, ... ვარჯიშით, უმთავრესად კი ... თიანი ჰოკეითა და ჩოგბურ... სპორტი დიდად დამეხმარა ... ფლებოდი სცენაზე ფიზიკურ... ძრაობის კულტურას, რომ... ასე აუცილებელია მსახიობის... ჩემის აზრით, მსახიობისთვის ... ლიან სასარგებლოა ჩოგბურ... თამაშისთვის დამახასიათებ... რიტმის მკვეთრი ცვლა. მო... მიმდინარეობს თავისებური ... ლოგი სპორტსმენებს შორის. ... ხდება თეატრშიც. საერთოდ ... ატრსა და სპორტს შორის ბ... საერთო. თეატრსა და სპ... აუცილებელია შთაგონება, „ბ... ლაში" უშიშრად ჩაბმის ნებ...

ახლაც ვმეგობრობ ფიზკულ... რასთან. ვთამაშობ ჩოგბ... თუმცა ასაკთან ერთად უფ... უფრო მიჭირს, მაგრამ ყოვე... ური დილის გამამხნევებელ... ჯიში უცვლელად არის ჩემს ... მში.

ასე, რომ გიყვარდეთ სპო...



ღლენიადაგ ვიბრძოლოთ ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისთვის!

ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი

დასასრული

ბავშვთა სპორტის განვითარებას. მნიშვნელოვნად გამოაცოცხლეს მუშაობა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. მადლობის სიტყვებით უნდა მოვიხსენიოთ კალათბურთის (თავმჯდომარე მ. დანელია), ხელბურთის (თავმჯდომარე ს. რიგვავა) და ლელო-რაგბის (თავმჯდომარე ო. ხიზანიშვილი) ფედერაციების ნაყოფიერი საქმიანობა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სპორტული ბაზების ქსელი: ბევრგან მოეწყო სპორტული მოედნები, აშენდა დარბაზები: მშვენიერი სპორტული კომპლექსები მიიღეს გურჯაანის რაიონისა და ტყიბულის მშრომელებმა. კარგ საჩუქარს მიიღებენ თბილისელებიც — მტკვრის სანაპიროზე გაიხსნება საცურაო აუზების მთელი კომპლექსი, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს ცურვის შემდგომ განვითარებასა და მოცურავეთა, წყალბურთელთა და წყალში მხტომელთა სპორტული ოსტატობის ზრდას.

ამჟამად საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების მთავარი ყურადღება დიდი სპორტული ფორუმებისთვის მზადებისკენაა მიპყრობილი. სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადამდე ხომ წელიწადზე ნაკლები რჩება. რესპუბლიკის სპორტკომიტეტის კოლეგიაზე სისტემატურად იხილება სპარტაკიადისთვის მზადებასთან დაკავშირებული საკითხები, სპორტის ცალკეულ სახეობებში არსებული მდგომარეობა. ნაკრებ კოლექტივებს წვრთნა-ვარჯიშის ყველა პირობა აქვთ შექმნილი. მათ მომზადებას ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის საუკეთესო მწვრთნელები და სპეციალისტები. დღეს სპორტკომიტეტები და ფიზკულტურული ორგანიზაციები საერთო ხასიათის მუშაობით როდი კმაყოფილდებიან, არამედ ღრმად და კონკრეტულად სწავლობენ და წყვეტენ სპორტის ამა თუ იმ სახეობის განვითარების პრობლემებს. ყველა ეს ღონისძიებები ისევ და ისევ იქეთკენაა მიმართული, რომ საქართველოს სპორტული დელეგაცია წარმატებით გამოვიდეს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე და საუკეთესოთა შორის საუკეთესოებმა ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდებთან ერთად მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზონ.

დიდი გამოცდა ელით ჩვენს ნორჩ სპორტსმენებს. მათ სექტემბერში მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადაზე მოუწევთ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვა. საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების წევრებსა და მათ აღმზრდელებს კარგად აქვთ შეგნებული ის დიდი პასუხისმგებლობა, რასაც მათ ტაშკენტის სტარტები აკისრებს.

საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობისთვის მაღალი შედეგების მოპოვება თვითმიზანი არასოდეს ყოფილა. პირველი რიგის ამოცანაა, ფიზკულტურა და სპორტი ხალხის, მშრომელი ადამიანების ჯანმრთელობის განმტკიცების, მოზარდი თაობის ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების სამსახურში ჩავაყენოთ. ამისთვის კი ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვა, მისი საერთო-სახალხო საქმედ გადაქცევაა საჭირო. როგორც რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ითქვა, „ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობას ჩვენ უნდა ვნერგავდეთ ყველგან და ყველაფერში — შრომით კოლექტივებში, ყველა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, სასწავლებლებში, სამუშაო თუ საცხოვრებელ ადგილებზე“. აი, ეს სიტყვები უნდა გაიხადონ საქმიანობის ქვაკუთხედად რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა და კოლექტივებმა, თითოეულმა ფიზკულტურულმა მუშაკმა და ამ საქმეში მათ მუდმივი პრაქტიკული დახმარება უნდა აღმოუჩინონ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა. ამ მხრივ კარგ მაგალითს იძლევიან სამხრეთ ოსეთის, გურჯაანის, გორის, ჩოხატაურის, ყვარლის, ჭიათურისა და დუშეთის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, ვაჭრობისა (მინისტრი მ. მეგრელიშვილი) და მშენებლობის (მინისტრი თ. მეძმარიაშვილი) სამინისტროები.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით კი რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ, მთელს ჩვენს ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში ხელშესახებად შეიმჩნევა გაჯანსაღების პროცესი, რაც ჩვენი ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების მიერ მოპოვებულ წარმატებებშიც ნათლად გამოიხატა, მაგრამ მიღწეული როდი გვაკმაყოფილებს.

ახლა, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმებმა სოფლის მეურნეობის მშრომელებს მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები დაუსახეს, ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა ფიზკულტურა და სპორტი მტკიცედ დამკვიდრდეს თითოეული შრომითი კოლექტივის, თითოეული ოჯახის, თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომ წარმატებით განხორციელდეს სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები.

ბოლოს მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ფიზკულტურელის საკავშირო დღესასწაული მხურვალედ მივულოცო ფიზკულტურისა და სპორტის ყველა მუშაკს, ყველა საზოგადოებრივ აქტივისტს, ყველა სპორტსმენს; ვუსურვო მათ ჯანმრთელობა, აღებული გეზისკენ შეუდრეკელი სწრაფვა და ახალ-ახალი წარმატებები ჩვენი სპორტის სასიკეთოდ.

ციფრების ენით

წლევანდელი დღესასწაულისთვის ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული მაჩვენებლები ასეთი ციფრობრივი მონაცემებით გამოიხატა:

- ☐ ფიზკულტურული კოლექტივები — 6571 (მათ შორის სოფლად — 3390);
- ☐ სპორტულ სექციებსა და ჯგუფებში სულ ვარჯიშობს — 1149966;
- ☐ საწარმოო ტანვარჯიშს ეწევა — 922 581;
- ☐ მშრ ნიშნოსანი — 573 988 (სოფლად — 236828);
- ☐ სპორტულ სექციებში ვარჯიშობს — 36972;
- ☐ მასობრივი თანრიგის სპორტსმენი — 353932 (სოფლად 142 996);
- ☐ სპორტის ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი — 11389 (სოფლად — 1682).
- ☐ სსრ კავშირის სპორტის ოსტატი — 4 959;
- ☐ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი — 165;
- ☐ სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი — 113.
- ☐ ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკი — 8 605.
- ☐ მწვრთნელი — 3352 (სოფლად — 435);
- ☐ საზოგადოებრივი ფიზკულტურული მუშაკი — 259035;
- ☐ საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი — 422;
- ☐ საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი — 74;
- ☐ რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი — 1686;
- ☐ საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი — 419;
- ☐ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი — 386;
- ☐ ევროპის ჩემპიონი — 111;
- ☐ მსოფლიო ჩემპიონი — 60;
- ☐ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი — 21.

დამსახურებისთვის

„საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის“ დებულების მოთხოვნების შესრულებისთვის, მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადების საქმეში ნაყოფიერი მუშაობისთვის, ფიზკულტურელის საკავშირო დღის აღსანიშნავად რესპუბლიკის სპორტკომიტეტის კოლეგიამ „საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის“ წოდება მიანიჭა:

თავისუფალ ჭიდაობაში — შ. ვ. კიკაბიძეს (სოხუმი, „კოლმეურნე“), ა. პ. მაღრაძეს (ორჯონიკიძის რაიონი, „კოლმეურნე“);

კლასიკურ ჭიდაობაში — ჯ. ნ. კოსტავას (ქუთაისი, „დინამო“);

ფეხბურთში — ბ. შ. სიჭინავას (თბილისი, „დინამო“);

ველოსპორტში — შ. ვ. საბარეიშვილს (თბილისი, „სპარტაკი“), ა. ვ. თავაძეს (თბილისი „განთიადი“);

კრივში — ი. ი. ხატიაშვილს (თბილისი, „განთიადი“);

კალათბურთში — ა. ი. კილაძეს (თბილისი, „ლოკომოტივი“);

ჰანდბოლში — გ. პ. ქანთარიას (ქუთაისი, „სპარტაკი“);

ბატუტზე ხტომაში — თ. ო. ხუდოევს (თბილისი, „შრომითი რეზერვები“).

> „ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობას ჩვენ უნდა ვნერგავდეთ ყველგან და ყველაფერში — შრომით კოლექტივებში, ყველა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, სასწავლებლებში, სამუშაო თუ საცხოვრებელ ადგილებზე“.
>
> რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების მასალებიდან.



სპორტული კინოეკრანი

ფიზკულტურელის საკავშირო დღეს ეძღვნება სპორტული ფილმების ჩვენება, რომელიც მიმდინარეობს თბილისის კინოთეატრებში „რუსთაველსა“ და „ოფიცერთა სახლში“.

პირველ დღეს მაყურებელმა ნახა ახალი მხატვრული ფილმი „თუ შენ წახვალ...“, რომელიც კიევის ა. დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდიაშია შექმნილი. ეს ფერადი სურათი მოგვითხრობს აკადემიურ ნიჩბოსანთა გუნდის („რვიანის“) შესახებ, მათი ლიდერის წუთიერ სისუსტეზე, კოლექტივიდან წასვლაზე და კვლავ დაბრუნებაზე.

საინტერესოა, რომ უკრაინელმა კინემატოგრაფისტებმა მაყურებელს კვლავ ერთი სპორტული სურათი შესთავაზეს — „ეს ასეთი თამაშია“.

სპორტის მოყვარულები ამ დღეებში ნახავენ, აგრეთვე, საკმაოდ პოპულარულ სპორტულ კინოსურათებს: „მეკარეს“, „რინგს“, „თერთმეტ იმედს“ და სხვ.

* * *

სურათზე: კინოთეატრ „რუსთაველის“ ვესტიბიულში სპორტული ფილმების ჩვენების წინ მნახველები ათვალიერებენ სპორტულ ფოტოსტენდებს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ფიზკულტურელის დღეს ეძღვნება



წიგნები მოგვითხრობენ...

თბილისის კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ საჯარო ბიბლიოთეკაში მოეწყო ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი თემატური სტენდი.

აქ წარმოდგენილია ექვს ათეულზე მეტი წიგნი და ბროშურა, რომლებიც გამოცემულია როგორც მოსკოვში, ასევე ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში (მათ შორის თბილისშიც).

ექსპოზიცია იხსნება ნაშრომით „ლენინი მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის შესახებ“. აქვეა დ. პერტენავას ბროშურა „ფიზიკური კულტურა და სპორტი საბჭოთა საქართველოში“, მ. გორგაძის „ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორია“, რ. სვანიშვილის „ფიზიკური კულტურა და ჯანმრთელობა“, ვ. ელიაშვილის „ფიზიკური კულტურა და სპორტი საბჭოთა ადამიანის ყოფაში“, ა. ციბაძის „სპორტი და ხალხთა მეგობრობა“, შ. პატარაიას „სპორტის განვითარება აჭარაში“.

სპორტული ლიტერატურის მოყვარულნი აქ ნახავენ, აგრეთვე, წიგნებს, ბროშურებსა და ალბომებს „ფიზიკური კულტურის ორგანიზაცია“, „მასობრიობიდან ოსტატობისკენ“, „მთავარი რეკორდი — ჯანმრთელობა“, „სწრაფად, მაღლა, ძლიერად“ და სხვ.

* * *

სურათზე: საჯარო ბიბლიოთეკის მკითხველები ეცნობიან ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი სპორტული ლიტერატურის გამოფენას.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



„ახლა მთავარია მასობრივი სპორტის საფუძველზე უზრუნველვყოთ მაღალი მიღწევების სპორტის ზრდა და სრულყოფა, გამოკიყენოთ მოსკოვის ოლიმპიური ასპარეზობის სამზადისი მასობრივ-ფიზკულტურულ მოძრაობაში ადამიანთა მაქსიმალური ჩაბმისათვის“.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების მასალებიდან.

ᲛᲐᲦᲚᲐ ᲒᲕᲔᲭᲘᲠᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში გაწეული აქტიური დახმარებისა და ნაყოფიერი მუშაობისთვის ფიზკულტურელის საკავშირო დღესთან დაკავშირებით საქართველოს სპორტკომიტეტმა დაჯილდოვა საზოგადოებრივი და ფიზკულტურული მუშაკების დიდი ჯგუფი.

საქართველოს სპორტკომიტეტის **საპატიო სიგელებით** დაჯილდოვდნენ: **ფ. ანანიაშვილი** — საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი, საქართველოს სსრ VII სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; **ბ. მეიერხოლდი** — ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის ი. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე; **თ. გოთუა** — პროფესორი, ფიზკულტურისა და სპორტის ვეტერან ქალთა სექციის თავმჯდომარე; **მ. დანელია** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე, კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე; **ლ. დათიაშვილი** — სახალხო დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე; **შ. ეცადაშვილი** — საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი, ჰიდაობის რესპუბლიკური ფედერაციის წევრი; **თ. იმედაძე** — საქართველოს კპ ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი, რეგბის რესპუბლიკური ფედერაციის წევრი; **ლ. მარშანია** — საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ VII სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; **მ. მეგრელიშვილი** — საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი, რესპუბლიკის VII სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; **ვ. მერაბიშვილი** — სახალხო დეპუტატების კასპის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე; **ნ. მეძმარიაშვილი** — საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი, ჩოგბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე; **ნ. ყვანია** — სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის „დინამოს“ სტადიონთან შექმნილი საზოგადოებრივი აზრის საბჭოს წევრი; **ს. რიგვავა** — სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხელბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე; **ფ. სანაკოევი** — საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, რესპუბლიკის VII სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; **ნ. საჯაია** — საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ნიჩბოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის წევრი; **გ. ქურდიანი** — თბილისის „დინამოს“ სტადიონის პროექტის ავტორი; **რ. ლლონტი** — საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის წევრი; **შ. ყავლაშვილი** — თბილისის საცურაო აუზის პროექტის ავტორი; **დ. ჩიგვარია** — ბათუმის ნავსადგურის უფროსის მოადგილე, ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე; **გ. ჩიგოგიძე** — საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, საქართველოს სსრ VII სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; **გ. შარიქაძე** — გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის დირექტორი; **დ. ჩხეიძეშვილი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარე; **ა. ძიძიგური** — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარე; **გ. წითლიძე** — მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე; **ი. ჭანტურია** — საქართველოს კპ გუდაუთის რაიკომის მდივანი, თანამედროვე ხუთჭიდის რესპუბლიკური ფედერაციის წევრი; **ო. ხიზანიშვილი** — სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ლელორეგბის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე.

საქართველოს სპორტკომიტეტის სიგელებით დაჯილდოებულია სპორტულ მუშაკთა ჯგუფი, ხოლო სხვა დიდ ჯგუფს გამოეცხადა მადლობა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

ქართველოს სსრ VII სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; **ა. გოგიბერიძე** — ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის ი. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე; **თ. გოთუა** — პროფესორი, ფიზკულტურისა და სპორტის ვეტერან ქალთა სექციის თავმჯდომარე; **მ. დანელია** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე, კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე; **ლ. დათიაშვილი** — სახალხო დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე; **შ. ეცადაშვილი** — საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი, ჰიდაობის რესპუბლიკური ფედერაციის წევრი; **თ. იმედაძე** — საქართველოს კპ ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი, რეგბის რესპუბლიკური ფედერაციის წევრი; **ლ. მარშანია** — საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ VII სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; **მ. მეგრელიშვილი** — საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი, რესპუბლიკის VII სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; **ვ. მერაბიშვილი** — სახალხო დეპუტატების კასპის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე; **ნ. მეძმარიაშვილი** — საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი, ჩოგბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე; **ნ. ყვანია** — სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის „დინამოს“ სტადიონთან შექმნილი საზოგადოებრივი აზრის საბჭოს წევრი; **ს. რიგვავა** — სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხელბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე; **ფ. სანაკოევი** — საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, რესპუბლიკის VII სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; **ნ. საჯაია** — საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ნიჩბოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის წევრი; **გ. ქურდიანი** — თბილისის „დინამოს“ სტადიონის პროექტის ავტორი; **რ. ლლონტი** — საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის წევრი; **შ. ყავლაშვილი** — თბილისის საცურაო აუზის პროექტის ავტორი; **დ. ჩიგვარია** — ბათუმის ნავსადგურის უფროსის მოადგილე, ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე; **გ. ჩიგოგიძე** — საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, საქართველოს სსრ VII სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; **გ. შარიქაძე** — გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის დირექტორი; **დ. ჩხეიძეშვილი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარე; **ა. ძიძიგური** — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარე; **გ. წითლიძე** — მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე; **ი. ჭანტურია** — საქართველოს კპ გუდაუთის რაიკომის მდივანი, თანამედროვე ხუთჭიდის რესპუბლიკური ფედერაციის წევრი; **ო. ხიზანიშვილი** — სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ლელორეგბის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე.

საქართველოს სპორტკომიტეტის სიგელებით დაჯილდოებულია სპორტულ მუშაკთა ჯგუფი, ხოლო სხვა დიდ ჯგუფს გამოეცხადა მადლობა.

ᲛᲔᲥᲕᲡᲘ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ

ᲝᲠᲘ ოქროს, ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს საბჭოთა დოსაფლმა გემოდელისტებმა იტალიაში, მილანის მახლობლად გამართულ მსოფლიო პირველობაში. ჩემპიონი გახდა ლენინგრადის ხომალდმშენებელი ინსტიტუტის მესამეკურსელი ა. ნორკინი, რომელმაც, „დმ“ კლასში იმარჯვა. მანვე ვერცხლი მიიღო „d10“ კლასის მოდელებით შეჯიბრებაში. ამავე კლასში მესამე იყო როსტოვის ნორჩ ტექნიკოსთა კლუბის ხელმძღვანელი ს. ნაზაროვი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა „დხ“ კლასში. მისი ძმა ნიკოლოზი, რომელიც ტაგანროგში ცხოვრობს ამ კლასში მესამე პრიზიორი გახდა, ხოლო კიეველმა ვ. ბონდარენკომ „დხ“ კლასში ბრინჯაო მოიგო.

ᲡᲐᲓ, ᲠᲝᲓᲘᲡ?

ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲗᲐ საკავშირო დღე მარტო სპორტსმენთა დღესასწაული კი არაა, ჩვენი ქვეყნის ყველა ფენის მოსახლეობის ზეიმია.

ფიზკულტურელის დღეს ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე, დარბაზებში, აუზებზე, სპორტულ მოედნებზე გაიმართება ხალხმრავალი, მასობრივი საჩვენებელი და სპორტული შეჯიბრებები. ტურნირები, ერთდროული თამაშის სეანსები ჭადრაკში, ტურისტული ლაშქრობანი, სხვა გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

თბილისის სპორტკომიტეტმა ამ დღის აღსანიშნავად ღონისძიებათა საკმაოდ ვრცელი გეგმა შეიმუშავა.

რუსთაველის სახელობის კინოთეატრში, ფიზკულტურელის დღეს მიეძღვნა სპორტული ფილმების კვირეული, რომელიც დღეს მთავრდება. დღეს დედაქალაქის სხვა კინოთეატრები მაყურებლებს მხატვრულ ფილმებთან ერთად სპორტულ თემაზე შექმნილ ნაწარმოებებსაც უჩვენებენ.

დღეს დედაქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართება მასობრივი შეჯიბრებანი სპორტის სხვადასხვა სახეობაში: **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** 17 საათიდან სპორტულ სარბიელად გადაიქცევა. ჭადრაკის მოყვარულებს საშუალება ექნებათ ცნობილ ოსტატებთან ერთდროული თამაშის სეანსში მიიღონ მონაწილეობა. აქვე მოეწყობა აკრობატთა საჩვენებელი გამოსვლები, მაგიდის ჩოგბურთელთა მასობრივი ტურნირი.

ფიზკულტურელთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები **პარტიზანთა სახელობის პარკში** (ლისის ტბა) 12 საათიდან დაიწყება. აქ მოსულ ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მშრომელებს, მოსწავლეახალგაზრდობას საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ კალათბურთელთა, ფრენბურთელთა, მაგიდის ჩოგბურთელთა და მოჭადრაკეთა ასპარეზობებში, ისეირნონ ნავებით, წყლის ველოსიპედებით; „გამარჯვების“ პარკში კი ზეიმი 17 საათიდან დაიწყება.

ზუსტად ამ დროს **მთაწმინდის ი. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში** კალინინის რაიონის მცხოვრებლებისთვის გაიმართება შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, მინი-ფეხბურთში, სიმძიმეების აწევაში, კალათბურთში, პნევმატური თოფის სროლაში, ჭადრაკში...

დაახლოებით ასეთივე ღონისძიებების გამართვაა დაგეგმილი ლენინის სახელობის რაიონის მცხოვრებლებისთვის **კიკვიძის სახელობის პარკში**, ხოლო კიროვის რაიონის მშრომელებისთვის — **300 არაგველის პარკში** (ორივეგან 12 საათიდან).

თბილისის ზღვის წყალჯანმრთელობის სპორტული ბაზა 16 საათიდან აწყობს მასობრივ სეირნობას სახალხო ნავებით, აფროსანთა საჩვენებელ გამოსვლებს; **„ლოკომოტივის“, თემქ-ისა და „საქხოფლმშენის“ საცურაო აუზებზე** 10 საათიდან დაიწყება შეჯიბრებები მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად ცურვაში; **26 კომისრის, კიროვის, კალინინის, ოქტომბრისა და პირველი მაისის რაიონების დოსაფის ტირებში** გაიმართება მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მსურველთა შეჯიბრებები სროლაში; ხოლო 12-13 აგვისტოს ფიზკულტურის რაიონული კომიტეტები და საბინაო-საექსპლოატაციო კანტორები აწყობენ ტურისტულ ლაშქრობებს „ჯანმრთელობის“ საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით.

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მშდ საკავშირო კომპლექსის დანერგვის საქმეში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისთვის, მშდ კომპლექსის ნორმატივებისთვის მზადებასა და ჩაბარებაში მომუშავე და მოსწავლე ახალგაზრდობის უმრავლესობის ჩაბმისთვის, მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის წარმატებით ჩატარებისთვის, სპორტული ბაზის შექმნისთვის, ფიზკულტურელის საკავშირო დღესთან დაკავშირებით საკავშირო სპორტკომიტეტმა **მშდ-ს საპატიო წიგნით დაჯილდოვა თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის სპორტული კლუბი „იბერია“.**

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ჯილდო მიეკუთვნა ჩვენი ქვეყნის ექვს სპორტულ კოლექტივს.



ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲗᲐᲡᲘ — „ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲘᲡ“

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საქართველოს თასის გათამაშების ფინალური მატჩი ფეხბურთში გალის „მზიურსა“ და ჭიათურის“ მაღაროელს“ შორის.

ანგარიშით 3:1 (1:1) გაიმარჯვა „მაღაროელმა“.

ᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილია, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი წელს კვლავ მონაწილეობს უეფა-ს თასის გათამაშებაში.

გუნდი გულმოდგინედ ემზადება ამ გათამაშების პირველი ეტაპის მატჩებისთვის იტალიის „ნაპოლისთან“: 13 სექტემბერს (თბილისში) და 27 სექტემბერს (ნეაპოლში).

მატჩებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ დინამოელთა ცენტრალური მცველი შ. ხინჩაგაშვილი, რომელიც დისკვალიფიცირებულია 5 თამაშით უეფა-ს დისციპლინარული კომისიის მიერ, და ტრავმირებული მარჯვენა მცველი ი. რუხაძე. ამიტომ თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის სამმართველოსა და ფეხბურთის საკავშირო ფედერაციას თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში ქუთაისის „ტორპედოს“ მცველის თ. სულაქველიძის დაშვების შესახებ.

როგორც საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოდან გვაცნობეს, თხოვნა დაკმაყოფილებულია — თ. სულაქველიძეს ნება მიეცა ითამაშოს თბილისის „დინამოში“.

თავის მხრივ ქუთაისის „ტორპედოს“ თბილისის „დინამოდან“ გადაეცათ ფეხბურთელები დ. გოგოლაძე, თ. ებანოიძე, ვ. ძებისაშვილი, დ. ფოფხაძე.

II ᲚᲘᲒᲐ. IV ᲖᲝᲜᲐ

9 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ გაიმართა მეორე ლიგის მეოთხე ზონის საკავშირო პირველობის 28-ე ტურის მატჩები. გავაცნობთ ჩვენი რესპუბლიკის გუნდების შედეგებს: „დინამო“ (ბათუმი) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 4:0, „გურია“ (ლანჩხუთი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 5:0, „დინამო“ (სოხუმი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 1:0, „დინამო“ (ზუგდიდი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 0:0, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 0:1, „დილა“ (გორი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 1:0.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

გუშინწინ ბაგიოში (ფილიპინები) ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩში მსოფლიო პირველობაზე XI პარტია გათამაშდა.

მხოლოდ მე-3 სვლის შემდეგ შეიქმნა ნათელი, რომ პარტიაში სიცილიური დაცვის დახურული სისტემა თამაშდება. იგი კორჩნოომ აირჩია.

პრეტენდენტმა შეძლო ცენტრის დაპყრობა. მერე ორი კუს უპირატესობა მიიღო. მსოფლიო ჩემპიონის მანევრები ლაზიერის ფრთაზე ვერ გადაიზარდა კონტრთამაშში, პირიქით, 25-ე სვლაზე დაშვებულ უზუსტობას ხარისხის დაკარგვა მოჰყვა.

შემდგომი ბრძოლა კიდევ ორი ათეული სვლით გაგრძელდა, მაგრამ პარტიის გადარჩენა ვეღარ მოხერხდა.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გათანაბრდა — 1:1.

XII პარტია დღეს, 12 აგვისტოს უნდა შეგვეს.

რედაქტორი Ა. ᲒᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐ.

„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 14)

12 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — „ᲜᲐᲓᲘᲙᲕᲐᲠᲘ“ (ᲗᲔᲚᲐᲕᲘ).

დასაწყისი 13 ს.

●

13 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲠᲔᲒᲑᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

„ᲔᲚᲕᲐ“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — „ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡᲢᲘ“ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ)

დასაწყისი 13 ს.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲝᲠᲨᲐᲒᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲒᲗᲘᲝᲒᲠ, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-50; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93 97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-40; გამომწვევები — 93-96-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ᲘᲜᲓᲔᲥᲡ 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — **ᲣᲔ 10183**